ხელშეკრულება№31
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ცაგერი თებერვალი 2023 წელი

ერთის მხრივ, სსიპ **ცაგერის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში – შემსყიდველი), მუნიციპალიტეტის მერის მ/შ ალუდა თუთისანის სახით და მეორეს მხრივ, **ი/მ „ბორისი გოგიძე“** (შემდგომში – მიმწოდებელი), ბორისი გოგიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.**ხელშეკრულების საგანია**

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სახსრებით სამუშაო ხელთათმანები (კლასიფიკატორის კოდი 18141000); პოლიეთილენის პაკეტები და ტომრები ნარჩენებისა და ნაგვისთვის (კლასიფიკატორის კოდი 19640000); საღებავები და პიგმენტები (კლასიფიკატორის კოდი 24200000); სადეზინფექციო საშუალებები (კლასიფიკატორის კოდი 24450000); ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურა (კლასიფიკატორის კოდი 31200000); აკუმულატორები, დენის პირველადი წყაროები და ელემენტები (კლასიფიკატორის კოდი 31400000); გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები (კლასიფიკატორის კოდი 31500000); საიზოლაციო აქსესუარები (კლასიფიკატორის კოდი 31650000); პირადი ჰიგიენის საშუალებები (კლასიფიკატორის კოდი 33700000); ავეჯის აქსესუარები (კლასიფიკატორის კოდი 39200000); ქსოვილის ნივთები (კლასიფიკატორის კოდი 39500000); საოჯახო ტექნიკა (კლასიფიკატორის კოდი 39700000); საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია (კლასიფიკატორის კოდი 39800000); კაბელები, მავთულები და მათთან დაკავშირებული მასალები(კლასიფიკატორის კოდი 44300000); სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მათთან დაკავშირებული საგნები (კლასიფიკატორის კოდი 44400000); ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, (კლასიფიკატორის კოდი 44500000); სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის „ს'„ ქვეპუნქტის საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2.შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია **ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის სამეურნეო საქონლის შესყიდვა.**

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს: სამუშაო ხელთათმანები (კლასიფიკატორის კოდი 18141000) – **100ლ**; პოლიეთილენის პაკეტები და ტომრები ნარჩენებისა და ნაგვისთვის (კლასიფიკატორის კოდი 19640000) – **50ლ;** სადეზინფექციო საშუალებები (კლასიფიკატორის კოდი 24450000) -**100ლ**; საღებავები და პიგმენტები (კლასიფიკატორის კოდი 24200000) – **150ლ**; ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურა (კლასიფიკატორის კოდი 31200000)-**250ლ**; აკუმულატორები, დენის პირველადი წყაროები და ელემენტები (კლასიფიკატორის კოდი 31400000)-**50**ლ; გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები (კლასიფიკატორის კოდი 31500000)-**100**ლ; საიზოლაციო აქსესუარები (კლასიფიკატორის კოდი 31650000)-**50ლ**; პირადი ჰიგიენის საშუალებები (კლასიფიკატორის კოდი 33700000)-**200**ლ; ავეჯის აქსესუარები (კლასიფიკატორის კოდი 39200000)-**350**ლ; ქსოვილის ნივთები (კლასიფიკატორის კოდი 39500000)-**250**ლ; საოჯახო ტექნიკა (კლასიფიკატორის კოდი 39700000)-**600**ლ; საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია (კლასიფიკატორის კოდი 39800000)-**200**ლ; კაბელები, მავთულები და მათთან დაკავშირებული მასალები(კლასიფიკატორის კოდი 44300000)-**150**ლ; სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მათთან დაკავშირებული საგნები (კლასიფიკატორის კოდი 44400000)-**200**ლ; ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, (კლასიფიკატორის კოდი 44500000)-**200**ლ;

3.3. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **3000 (სამიათასი)** ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან **ეტაპობრივად 2023 წლის 31 დეკემბრამდე.**

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: **ქ. ცაგერი. კოსტავას ქ. №18**

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა/სასაქონლო ზედნადები).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთანანგარიშსწორებაგანხორციელდება**უნაღდო ანგარიშსწორებით.**

7.2. შესყიდვისობიექტისღირებულებისანაზღაურებამოხდება**ეროვნულ ვალუტაში.**

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს **10 (ათი) საბანკო დღის ვადაში**.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან **ეტაპობრივად 2023 წლის 31 დეკემბრამდე.**
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია

გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2024 წლის 31 იანვრამდე.**

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მ/შ – მევლუდ თოდიძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – ზაირა ბენდელიანი;**

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15..1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ცაგერის მუნიციპალიტეტი	ი/მ „ბორისი გოგიძე“
მისამართი	მისამართი
ქ. ცაგერი რუსთაველის ქუჩა №58	ქ. ცაგერი. კოსტავას ქN18
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს „ლიბერთი ბანკი“
ბ.კ.TRESGE22	ბ/კოდი: LBRTGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში	ა/ა№GE34LB0112143540129000
ს/კოდი: 242 574 460	ს/კოდი: 49001001502

17. მხარეთა ხელმოწერები

ცაგერის მუნიციპალიტეტის	ი/მ „ბორისი გოგიძე“
მერის მ/შ:	
ა.თუთისანი	ბ.გოგიძე
---	---

Boris Gogidze 49001001502

Digitally signed by Boris Gogidze
Date: 2023.02.24 17:24:09